სახალხო გაზეთი

№ 500 შაბათი, 14 იანვარი 1912 წ. № 500

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

დღესასწაულისა გამო შემდეგი №-რი გამოვა სამშაბათს, 17 იანვარს.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
სახალხო გაზეთი

მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.

სურათებიანი დამატებით.

(კვირაობით)

პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ გრდემლი

ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი, რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.

კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ **იანვარშივე დაურიგდება.**

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარეთ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**

დანარჩენ შემთხვევებში უფასოდ.

ექვსი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ. 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენ 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.

ქართული თეატრი

კვირას, 15 იანვარს 1912 წ. მარიამ საფაროვ-აბაშიძის იუბილეს გამგე კომიტეტი გაჰმართავს

სალიტერატურო დილას

მონაწილეობას მიიღებენ: **მ. საფაროვ-აბაშიძისა,** მხცოვანი პოეტი **აკაკი, თ-დი გრ. დიასამიძე,** დრამატ. საზოგადოების დასი და „**ახალი კლუბის**“ სიმებიანი ორკესტრი.

ბილეთები გაიყიდება მხოლოდ პარტერის პირველის 4 წყებისა.

დასაწყისი ნაშუადღევს 12 ნახ. ს. (2—176—2)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.

შაბათს, 14 იანვარს,

ზ. ს. ს. ს. ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე ჰმართავს წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა ი. გედევანიშვილისა:

გამცემი,

დრამა 3 მოქ. და 2 სურათად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბეჟანოვისა, მარ. გოგოლაშვილი, ა. კახელი, ე. ციმაკურიძე; ბ-ნნი: ა. მეტრეველი, სვანელი, ალ. შანშიევი, ინაშვილი, ჭამკვეტაძე, ყაზბეგი და სხ.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12—2 ს., და საღამოს 6—8 საათამდე.

დასაწყ. ღლ. 8 ს. ✦ შემდეგი წარმოდგენა 26 იანვარს.

(2.10 6.2) რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** ადმინისტ. **ჭიაბერაშვილი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ. ექიმები	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ა. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო ექ. (ქირურგიული)	**მარკეჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფიროჟკოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფურადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სუდაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკნაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ. ექიმ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. და ცხვ.	**ათაიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **ორმბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალის ექ.	**მუხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.
კან. და ვენ. ექ.	**მზრეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2[illegible] დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 4[illegible] მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „**606**“ **წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—246)

---

20 იანვრიდან ამ 1912 წლისა

იხსნება

სარატოვის მექარხნეთა სარკინკების

სავაჭრო სახლის ე. ე. მაიერის

საქარხნო მაღაზია.

(3—1014—3) ერევნის მოედ. „**კავკაზის**“ სასტუმროს ქვეშ.

ტფილის

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩნაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 83)

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.42).

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 56).

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795.

კვირას, 15 იანვარს 1912 წ. **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება:

აკაკის უკვდავი დრამატიული პოემა

თამარ ცბიერი

4 მოქმედებად.

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი დავითაშვილი, პიერეტა, ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, არადელი, მესხი, მატარაძე, ციციშვილი. **დასაწყისი საღ. 8 საათზე.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ანონსი: მზადდება ანტიგონე, მასხარები, დაძირული ზარი, მთის ზღაპარი შიუკაშვილისა.

(1—178—1) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

ახალი კლუბი

შაბათს, 14 იანვარს 1912 წ.

ქართველთა განმანათლებელის წმ. ნინოს სახსოვრად

საბავშვო დილა

შემდეგის პროგრამით:

1. ისტორიული ამბავი წმ. ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობაზე, 2. ბუნდოვანი სურათები. 3, ლექსები და მოთხრობები (აასრ. ბავშვები). 4. საბავშვო გუნდი ჩარკვიანისა ცხრა წლის ბავშვის ლოტბარობით. 5. აპოთეოზი.

დასაწყისი 12½ ს. დღისით.

ფასები პარტერში **20** კ. დიდები უმატებენ **30** კ. ბენუარის ლოჟები **1** მ. **50** კ.

იმავე დღეს საღამოთი

ჩვეულებრივი საოჯახო საღამო

შემდეგის პროგრამით:

1. ორკესტრი. 2. წმ. ნინოს ცხოვრება და ღვაწლი. 3. ქართული სიმღერებს შეასრ. გუნდი. 4. ცოცხალი სურათები. 5. ლექსები და მოთხრობები. 6. ორკესტრი. 7. სცენები გლეხთა ცხოვრებიდან სიმღერით (შეასრ. გუნდი). 8. აპოთეოზი.

დასაწყისი საღამოს 8 ს.

ადგილების ფასი თეატრში 1 მ. 50 კ. 30—კ-მდე. გალერეიაში ფასები 40—10 კ-მდე. სტუმრები იხდიან: კაცი 50 კ., ქალი და სტუდ. **25**. (1—1003)

ტფილისის ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების

სამუსიკო სკოლა

(საპიორის ქუჩა, ეღენტის სახლი № 18).

მოწაფეთა მიღება: ფორტეპიანოსი, სკრიპკისა, ვიოლონჩელის, კონტრაბასის, სიმღერა (solo) მუსიკ. თეორიისა, ნოტების კითხვის (solfegi), ჰარმონიის, ენციკლოპედიის და ხოროს კლასებში დაიწყება 2 იანვრიდან, ყოველ დღე (კვირა-უქმეების გარდა), დილის 10-დან 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სწავლის ფასი: ფორტოპიანოს, ვიოლონჩელის და კონტრაბასის კლასებში ღირს 60 მან. წელიწადში, სკრიპკის კლას. 60 და 75 მან. სიმღერა (solo) 75 მან. თეორეტიულ კლას. 15 მან. სწავლის ფასი, ნახევარის წლისა უნდა შემოტანილი იყოს წინდაწინ. (7.151.4)

მიიღება ხელის მოწერა 20 დეკემბრიდან 20 თებერვლამდე.

დ. უზნაძის წიგნზე

ექსპერიმენტალური პედაგოგიკა

(შესავალი)

წიგნი მოგვითხრობს ბავშვის ფსიხოლოგიის ისტორიას და ახასიათებს ყველა მნიშვნელოვან ფსიხოლოგიურ სფერას: ყურადღებას, ინტერესს, დაღლილობის პრობლემას, მეხსიერებას და სხვ. ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში: „კოლხიდის“ რედაქციაში და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში და კანტ. „იმერეთში“. თბილისში: „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში.

(20—1655—14) **ფასი ხელისმომწერთათვის ორი აბაზი.**

დოქტორი მედიცინისა წამლობა ძლექისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მებრაზიანცი** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—76).

ტფილისის ქალაქის

საბჭომ

მეეტლეთა (მეფაიტონეების) მამასახლისისა და მის კანდიდატის

არჩევნები

დანიშნა იანვრის **20-ს, პარასკევს,** ნაშუადღევის 4 საათისათვის და სთხოვს ყველა ეტლების პატრონთ მობრძანდნენ ქალაქის გამგეობის სადგომში აღნიშნულ ვადაზე, თან მოიტანონ საეტლო ბალთები (ბლიახები), კვიტანციები ცხენებზე გაწერილ გარდასახადის შეტანისა და სავალდებულო დადგენილებათა წიგნაკები. (1—1040—1)

ქ ა რ თ უ ლ ი თ ე ა ტ რ ი

გაზ. „თემი“ რედაქციის თაოსნობით და ბ. **აკაკი წერეთლის** თავმჯდომარეობით ორშაბათს 16 იანვარს მოხდება **საჯარო დაჯილდოვება მეორე პრემიით** იმ პოეტისა, რომელსაც სალიტერატურო ჟიურიმ მიუსაჯა 1911 წელს თიბათვის 28, გაზეთ „თემის“ რედაქციის მიერ გამოცხადებული ერთი პრემიათაგანი და რომელმაც საკონკურსოდ წარმოადგინა ლექსი დევიზით „სატურნი“. იმავე დროს გაიხსნება ის კონვერტი, რომელშიაც დაცულია სახელი და გვარი ავტორისა. დაჯილდოვების წინ გაიმართება

სალიტერატურო საღამო

I განყოფილება.

ბ. **მიხეილ წულუკიძე** წაიკითხავს რეფერატს „**ესთეტიურ კრიტიკის საფუძველი**“.

II განყოფილება.

შემდეგი მწერლები წაიკითხავენ თავიანთ თხზულებას: კ, მაყაშვილი (ლექსს), ტრ რამიშვილი (მოთხრობას), ი. ელეფთერიძე (მოთხრობას), გ. ახრახაძე (მოთხრობა), პ. ირეთელი (მოთხრობას). ამის შემდეგ ე. ამირეჯიბის ქალი წაიკითხავს ს. აბაშელის ლექსს და ბ, ნიკოლოზ ერისთავი—გრ. ორბელიანის ლექსს.

III განყოფილება.

„ცოცხალი სიტყვები“ ლევ. ტოლსტოისა (გრამოფონით), „გენიოსის ხსოვნას“ თავის ნაწარმოებს წაიკითხავს გრ. დიასამიძე. ამ საღამოშივე მონაწილეობას მიიღებს „ახალი კლუბის „სიმებიანი ორკესტრი ს. პრესმანის ლოტბარობით. შემოსავალი გადაიდება გაზ. „თემის“ რედაქციის მიერ დაარსებულ სალიტერატურო საპრემიო ფონდის გასაძლიერებლად. **დასაწყისი საღამოს 8½ ს.**

ფასები დაკლებულია (2 მანეთიდან 15 კაპეიკამდე).

პასუხისმგებელი გამგე **გრიგოლ დიასამიძე.** (1—1042—1).

იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა

აკაკი-ს

თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრეთვე **ძველიც,** ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა“-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში“. ბათომს ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.1)

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 211)

სახალხო სამუსიკო დასაკრავთა

ვ ა ჭ რ ო ბ ა

ი. ე. ბუტკოსი და პ. ე. კოსარევისა

ტფილისი, ვერის დაღმართი, № 1.

გასაყიდად გვაქვს აუარებელი სკრიპკები, **შიგარჩევით,** ვიოლონჩელები, კონტრაბასები, გიტარები, მანდალინები, ბალალაიკები, ვენის გარმონები—პინჩენსკის სისტემისა და სარატოვის გარმონები. რადგანაც საქონელს პირდაპირ ქარხნიდან ვიღებთ და ბინის ქირადაც ბევრს არა ვხარჯავთ ჩვენი საქონლის ფასები მეტის-მეტად იაფია. იაფობა ყოველ მეტოქეობის გარეშე.

ყოველგვარი სიმები.

შეიძლება ფასის ნაწილობით გადახდა და საკრავების ქირით წაღება. აგრეთვე გვაქვს ყველა სამუსიკო საკრავთა სახელმძღვანელონი, ეტიუდები, კონცერტები და უდიდესი არჩევა

სანოტე ქაღალდისა.

ვკისრულობთ ყველა სამუსიკო დასაკრავთა შეკეთებას. აქვე იკითხეთ გამოცდის მუსიკის მასწავლებელთა მისამართი. (10.1041.1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბა. პოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით

(წლ. 1090 250)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

ექიმი ე. ი. მინასიანცი

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Muthieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9 11 ს.-დე და საღამოს 6 7 საათამდე.

ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067 (100—1117—76)

ექიმი კბილისა ალ. სოლოდაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ექიმი კბილისა და ღრძილებისა აჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.17)

ტფილისის ქართულ მომღერალ-მგალობელთა
გუნდი
(დაარსებული 1910)
ახლად შეკერილ საკუთარ ეროვნულ ტანისამოსში (ქულაჯებში) გამოწყობილი.
იღებს მონაწილეობას: ქართულ კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე, სასიმღერო პიესებში, წირვის წესის და სხვა საგალობლებში.
გუნდის მიწვევა-დაკვეთა და ახალ მომღერალთა მიღება იკითხეთ **მიხეილ კავსაძესთან.** ავჭალის მოედანი, № 11. (4—1665—4)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ ქუჩაზე, №3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ., კვირ. 4—5 საათ.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ სათ. 11 ს.
მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.
კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 სათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
რიდელი. შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.
თეთრაძე. სიფ, ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.
ბალდინა-ნოვიცკაია. ყელისა, ყურისა, ცხვირ. ყოველ დღ. 11—12 ს.
რუდენკო. შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
ტერ-ნერსეს. ი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშაბ. 1—1½ ს.
იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.
ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. 10—1 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ. 1032—4 .)

ექიმი ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3--9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—31).

ექიმი კბილისა
იოსებ ზაქარიას ძე
კანდელაკი
მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 5-მდის. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხვას ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპ. № 7. (50--1552--25.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე
იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657-- 5)

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., № 5.

REG-MEDIZ-RAT D-R CLEMENS ი რუდოლშტატში შემდეგს ადასტურებს: **ფრანც იოსების** თავანკარა მწარე წყლის 100 გრამის მიღება აფალარათებს. „ფრანც იოსების“ წყალი ყოველ-დღე რომ ცოტ-ცოტა მიიღოთ, საუკეთესო საშუალებაა **ბუასილისა** და **წელის ტკივილისა.** (1—1007—1)

ტფილისი, 14 იანვარი

საარჩევნო სამზადისი.

სახელმწიფო სათათბიროს ჯერ არ დაუმთავრებია მუშაობა, მაგრამ სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები უკვე შეუდგნენ საარჩევნო სამზადისს. სამზადისი ნიადაგის ძებნაში გამოიხატება. ოქტომბრისტები ძალიან კარგად ხედავენ, რომ რუსეთის უდიდესი ნაწილი მათი მოღვაწეობით კმაყოფილი არ არის. უსაჭიროესი რეფორმები, რომელთა განხორციელებასაც ოქტომბრისტები დაჰპირდნენ ამომრჩევლებს, განუხორციელებელი დარჩა. ოქტომბრისტები კუდში მისდევდნენ მთავრობას და მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ, რომ მთავრობის ნდობა დაემსახურებინათ. მაგრამ 17 ოქტომბრის მანიფესტი, დროშა პარტიისა, ხანდახან მაინც სხვა კილოზე აალაპარაკებდა ხოლმე მათ. მაშინ ოქტომბრისტებს თავიანთ თავი ჭეშმარიტ კონსტიტუციონალისტებად მიაჩნდათ ამით მათ უნდოდათ სიმპატია მაინც დაემსახურათ ამომრჩევლებისა, რომელნიც, ცოტა არ იყოს, გულ-გატეხილი შესცქეროდნენ კონსტიტუციონალიზმის ახალ ჯურის დამცველებს.

ამისთანა ტაქტიკით ოქტომბრისტებმა მცხოვრებთა სიმპატია ვერ დაიმსახურეს და მთავრობის ნდობაც დაჰკარგეს. ნათლად გამოისახა სურვილი მთავრობისა. მას უნდა სათათბიროში გაბატონდეს ისეთი ელემენტი, რომელიც არამც თუ კონსტიტუციონურ რეფორმათა განხორციელებას შეეცდება, არამედ სრულიადაც არ იფიქრებს მასზე. ასეთს ელემენტად მთავრობას ნაციონალისტები მიაჩნია. არსებითად ოქტომბრისტები და ნაციონალისტები ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებიან. ორივენი ნაციონალისტურ დროშით გამოდიან სამოქმედოთ და ნაკლებად ზრუნავენ იმისთანა რეფორმებზე, რომელთაც შეუძლიანთ დაპირებული უფლებრივი წეს-წყობილება განამტკიცონ რუსეთში. მაგრამ ნაციონალისტები უფრო გულ-ახდილად მოქმედებენ, საკონსტიტუციო ილიუზიებს არ ეძლევიან, და მთავრობასაც სწორედ ასეთი ხელ-მძღვანელი პარტია უნდა. იმუშაონ როგორც კომისიის წევრებმა და არა კანონმდებლებმა.

ოქტომბრისტები ჰგრძნობენ ამას და კიდეც უმეგობრდებიან ნაციონალისტებს. რას მოგვიტანს ეს დამეგობრება, ამას მომავალი გვაჩვენებს. მაგრამ ოქტომბრისტები დღეს-დღეობით რაღაც უკმაყოფილებასა ჰგრძნობენ. უპირველესად ყოვლისა ძალიან შეაშფოთა რუსის ყველა ჯურის ნაციონალისტები იმ გარემოებამ, რომ სათათბიროს გლეხი-დეპუტატები კოკოვცევს წარუდგნენ და უკმაყოფილება განუცხადეს, ხუთი წელიწადი პეტერბურგში ვისხედით და სახლში, ამომრჩევლებთან, ხელ-ცარიელი ვბრუნდებითო. მართლაც, ამ ხუთი წლის განმავლობაში სათათბიროს არც ერთი ისეთი კანონი არ გამოუცია, რომელიც სოფლის მდგომარეობას აუმჯობესებდეს. თუ გლეხებმა ასეთი უკმაყოფილება გამოაცხადეს, უეჭველია, არა ნაკლებ უკმაყოფილო იქნება საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც უფრო შეგნებულად უცქერის სახელმწიფო საკითხებს.

რა შეუძლიანთ გააკეთონ ეხლა ოქტომბრისტებმა? ძალიანაც რომ შეეცადნენ ვერაფერს მოახერხებენ. ხუთი წლის მოღვაწეობამ თავისი კვალი დასტოვა, და ორიოდე თვე, ძალიანაც ნაყოფიერი რომ იყოს, საზოგადოების სულიერ განწყობილებას ვერ შესცვლის. ამიტომ ოქტომბრისტთა პარტია იძულებული გახდება დაემყაროს იმ ძალას, რომელსაც თვით მთავრობა შეჰქმნის.

ოპოზიციას მხოლოდ თავის საკუთარ ძალღონის იმედი ექნება. თვითოეული ჯგუფი ოპოზიციისა უფრო გამორკვეულია და გამარჯვება მხოლოდ იმაზე იქნება დამყარებული, თუ რაოდენ ნდობას გამოუცხადებს საზოგადოება მას, ან რამდენად თავისუფლად მოახერხებს საარჩევნო კამპანიის მოწყობას. ეს სუსტი მხარეა რუსეთის სინამდვილისა, და ამიტომ ეხლავე ძნელია თქმა, როგორს პირობებში მოუხდება საარჩევნო კამპანიის გაწევა ოპოზიციას.

მომავალი არჩევნები, უეჭველია, ჩვენც ახალ პირობებში მოგვასწრობს. ხუთი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, საზოგადოების სულიერი განწყობილება ისეთი აღარ არის, რანაირიც უწინ იყო. ერთის მხრით სათათბიროს ნაციონალისტურმა პოლიტიკამაც შეუწყო ხელი ამ ცვლილებას. რა გააკეთა სათათბირომ ჩვენთვის, რა არ გააკეთა და როგორ უნდა გავცეთ პასუხი ყველა ამას? ყველა ეს საკითხები უნდა გამოირკვეს საარჩევნო სამზადისამდე. მაგრამ ამაზე როდისმე სხვა დროს.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ნინოობა**. დღეს ქართველთა განმანათლებელ წმიდა ნინოს დღესასწაულია. სიონის საკათედრო ტაძარში მწირველია ალავერდის ეპისკოპოსი დავითი. დღეს ნამესტნიკის ნებართვით სწავლა არ იქმნება ამიერ კავკასიის არც ერთს სასწავლებელში.

◆ **ქართულ მუზეუმის** დროებით მოსათავსებლად წ.-კით. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ქართულს გიმნაზიაში ერთს ოთახს ამზადებს.

◆ **ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების** გამგეობამ დაადგინა, ქვიანის ბიბლიოთეკას 18 მანეთით დახმარება აღმოუჩინოს!

◆ როგორც მკითხველებმა იციან, წელს 25 წელიწადი შესრულდა, რაც ტფილისში პირველი **ქართული კონცერტი** გაიმართა ლადო აღნიაშვილის თაოსნობით და ბ-ნ რატილის ლოტბარობით. ამ დღის აღსანიშნავად დღესასწაულის გამართვა ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ იკისრა. წ. კ. საზოგადოების გამგეობამ წარმომადგენლობა ამ დღესასწაულზე, სერგო გორგაძეს დაავალა.

◆ **„ნაკადული“**. რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“-ს იანვრის ნომერი (მცირე წლოვანთათვის).

◆ ტფილისის საქველმოქმედო საზოგადოებას რამდენიმე სკოლა აქვს ტფილისში; ერთი იმათაგანი წყნეთის ქუჩაზეა. ამ სკოლაში 140 მოწაფეა, 102 ქართველია და 38 სხვა ეროვნებისა. ქართველი მოწაფენი მოკლებულნი არიან დედა-ენის სწავლებასა. კარგი იქნება ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას, ვისიც ჯერ არს.

◆ **დახმარება.** პეტერბურგის კონსერვატორიის უკანასკნელ კურსზე მყოფ ელენე ქიქოძეს და მოსკოვის საპედაგოგიო კურსზე მყოფ სოფიო ჩიჯავაძეს წ. კ. ს. გამგეობამ გადაუწყვიტა ერთდროულ დახმარებად სწავლის ფულის შესატანად ხუთ-ხუთი თუმანი.

◆ **ქართველ მომღერალთა გუნდი**, რომელსაც კოტე ჩარკვიანი ლოტბარობს, დღეს სიონის საკათედრო ტაძარში იგალობებს.

◆ 12 იანვარს, საღამოს 10 საათზე, ბათომის ქუჩაზე მიმავალს სვიმონ სუპრუნს (50 წლისა) ვიღაც უცნობმა თავში **რკინის კეტი დაარტყა.** სუპრუნი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

◆ **რეფერატი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, საზოგადო კლუბში ი. ა. აკუნოვი რეფერატს წაიკითხავს, რეფერატის შემდეგ საუბარი გაიმართება.

◆ **ქართული საბავშვო კითხვები** დღეს გაიმართება: 1) სამკურნალო საზოგადოებაში; წაიკითხავს ა. ფაღავა „გარეული იხვები“-ს, 2) ავჭალის აუდიტორიაში წაიკითხ. ჟორდანია „თევზები“-ს, 3) ნავთლუღში, წაიკითხავს ქ-ნი ჯარიაშვილი „დედა“-ს და 4) ავლაბარში: წაიკითხავს ლაშქარაშვილი. დასაწყისი ყველგან დილის 11 საათზე.

◆ 15 იანვარს სახალხო სახლში კ. კოზლოვსკი **ლექციას** წაიკითხავს ნაძალადევის სარკინისგზო სასწავლებლის სასარგებლოდ. ლექციის თემა: გრაფი ა. კ. ტოლსტოი, მისი პიროვნება და შემოქმედება. ლექციის შემდეგ კონცერტი გაიმართება. დასაწყისი ნაშუადღევის პირველ საათზე.

◆ 12 იანვარს ტფილისში 2 უპასპორტო შეიპყრეს.

ქუთაისი.

◆ **ქუთაისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას** შემოწირულება მოსდის კიდეც. ბატ. ივაკა გიორგის-ძე ჯორჯიკიასაგან, სოფ. ხობში (ოდიში) ნაპოვნი ძველის ძველი (რომაული უნდა იყოს) სომარი ნაჯახი, შუბი და ორპირი გძელი ხმალი. ბატონ ჯორჯიკიას ყველა ესენი თავის ადგილში აღმოუჩენია. იარაღები ნახევრად ჟანგისაგანაა დაჭმული. სასურველია, ბატ. ჯორჯიკიას მაგალითს მიმბაძველნი გამოუჩნდეს და დღეს, რაკი ბინა უკვე არის, ყოველი ძველი ნივთი, ნაშთი გამოგზავნონ ქუთაისს, ჯერ-ჯერობით გრ. გველესიანის სახელზე.

◆ **შავი ქვის საბჭოს** გამგეობას გადაუწყვეტია მოიწვიოს კიდევ ორი ინჟენერი.

◆ **ქალაქის სასწავლებელთა კომისიას** ერთხმად დაუდგენია, წინადადება შეიტანოს ქალაქის საბჭოში, რომ სრულიად მოისპოს ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლაში არსებული სწავლის ფული; ყველა სკოლიდან ქალაქს წლიურად 1800 მანეთი შესავალი ჰქონდა, წლიური ხარჯი კი 17,000 მანეთამდეა.

ქალაქის სასკოლო კომისიამ საჭიროდ სცნო მოიწვიოს თავის კრებაზე „მკურნალის გიმნაზიის“ წარმომადგენელი, რომელმაც უნდა განუცხადოს კომისიას, თუ რა პირობით ჰსურთ გადასცენ ქალაქს ხსენებული გიმნაზია.

◆ შაბათს, ჩვენი დასი წარმოადგენს ბ. პოტაპენკოს პიესას—**„ახალი ცხოვრება“**. უმთავრეს როლს შეასრულებს ტფილისიდან მოწვეული ვალერიან გუნია.

◆ ოდესის უნივერსიტეტის ორ ქართველ **სტუდენტს ვლასა ჩხეიძესა და ი. მაჭავარიანს** ვერცხლის მედლები მიუღიათ ჯილდოდ შავიქირის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

◆ **შორაპნიდან გვწერენ**: „ბ-ნი გ—გი ნუკრაძის მეოხებით აქ შესდგა სცენის მოყვარეთა ჯგუფი და მესამედ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენებს ხალხი ბლომად ესწრება. აქ დიდად საჭიროა უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველო და საკვირაო სკოლის დაარსებაც.

◆ ხმა გავრცელდა—სინოდის კანტორას **გელათის მონასტრის** წინამძღვრის—არქიმანდრიტის ადგილი გაუუქმებია და ამ მონასტრის საქმეთა მართვა-გამგეობა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გიორგისათვის [illegible] „ქრონ.“

შეცდომის გასწორება. გუშინდელ ნომერში მოთავსებულ **ქუთაისის სათეატრო რეცენზიაში** შეცდომითაა დაბეჭდილი: „მშვენიერი იყო ანანია გლახას როლში **ქ-ნი იმედაშვილისა“ უნდა იყოს: ბ-ნი იმედაშვილი.**

დავიწყებული საფლავი

„დედა-შვილობამ ბევრს არ გთხოვ,
„შენს მიწას მიმაბარეო“. ა. წ.

გაზეთ „თემის“ მე-52 ნომერში წავიკითხე პატივცემულ ეკატერინე გაბაშვილის მოგონება განსვენებულ აკადემიკოსის ი. ე. თარხნიშვილის შესახებ, რომელმაც სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მართლაც რომ საჭიროა ამისთანა პატივცემული მოღვაწენი გვახსოვდეს ქართველებს, ვინაიდან, სამწუხაროდ გუნდი ამ გვარ მეცნიერთა ძალიან მცირეა ჩვენში.

აქვე მომაგონდა მეორე ფრიად შესანიშნავი მოღვაწე და ნამდვილი ქართველი, ქიმიის პროფესორი **ვასილი მოსეს ძე პეტრიაშვილი**. განსვენებული შესანიშნავი იყო, როგორც მეცნიერი, როგორც ადამიანი და როგორც ნამდვილი, იშვიათი ქართველი. როგორც მეცნიერს ვ. მ. პეტრიაშვილს კარგად იცნობდა არამც თუ რუსეთი, საზღვარ გარედაც დიდ პატივსა სცემდნენ, როგორც იშვიათ ქიმიკოსს. როგორც იშვიათ ადამიანს მას კარგად იცნობს ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტობა. ვ. მ. პეტრიაშვილის სახლის კარები მათთვის ყოველთვის ღია იყო და როგორც ნამდვილ თავის შვილებს, ეხმარებოდა და ჰფარველობდა მათ. არა ერთისაგან გაგვიგონია განსვენებულის ქება-დიდება. სხვათა შორის, ხშირად მოიგონებდა ხოლმე განსვენებული ვ. ბ. ლორთქიფანიძე ვ. მ. პეტრიაშვილს და იტყოდა: ვასო სწორედ ღვთიურ განგებას გამოუგზავნია ჩვენითანა ღარიბ-ღატაკ სტუდენტობისთვის ოდესაშიო. ის რომ არ ყოფილიყო იქ, ბევრი ჩვენგანი შიმშილით დავიხოცებოდით და ვერც სწავლის დამთავრებას ვეღირსებოდითო. განსვენებული ამასთანავე ქართულის იშვიათი მცოდნე იყო. საკვირველია სწორედ, პროფესორი, რომელიც გატაცებული იყო თავის სპეციალურ საგნის საფუძვლიანად შესწავლით და რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მოანდომა, სად ჰქონდა იმდენი დრო, რომ თვალყური ედევნებინა ქართულ ლიტერატურისთვის. ოცდა ათ წელიწადზე მეტი დაჰყო რუსეთში, სულ ოთხჯერ თუ ხუთჯერ თუ ყოფილა საქართველოში, ისიც ძალიან მოკლე ხნობით, მაგრამ რუსეთში ცხოვრებამ და ხშირად საზღვარ-გარედ ყოფნამ ვერ აღმოფხვრა განსვენებულ პეტრიაშვილის გულიდან სამშობლო ენის ხსოვნა და სიყვარული.

რაში გამოიხატა ვ. მ. პეტრიაშვილის ქართული ენის საფუძვ-

სპარსეთის ვითარება

ერთ დროს ძლევა-მოსილ და მქუხარე სპარსეთის დღეები დათვლილია. დღითი-დღე რთულდება და იწეწება მისი შინაური ცხოვრება.

შინაური, თემობრივი და სარწმუნოებრივი შუღლი, გარეშე სახელმწიფოთა მადა და „მშვიდობიანობის“ დამყარების სურვილი, ძველი შაჰისა და ახალის შეცილება (მამა-შვილის) სპარსეთის ტახტის გამო,—აი, სპარსეთის დღევანდელი ბედშავი მდგომარეობა.

რამ მიიყვანა სპარსეთი ამ მდგომარეობამდე? ამის პასუხს მკაფიოდ იძლევა **ატრპეტის** რამდენიმე თხზულება, სადაც ეგოდენის ცოდნითა და დასაბუთებითაა აწერილი სპარსეთის სარწმუნოებრივ ცხოვრების მსვლელობა, ისლამის დამაარსებელ მაჰომედიდან დღევანდლამდე. ავტორის აზრით, სპარსეთის სარწმუნოებრივი ცხოვრება მის პოლიტიკურ ცხოვრების ისტორიას წარმოადგენს, ისე მჭიდროდაა ერთმანეთში გადახლართული. მოვიყვანთ **ბ-ნ ატრპეტის** თხზულებიდან*) უფრო თვალსაჩინო ცნობებს.

მაჰომედის გარდაცვალების შემდეგ, როგორც წინა წერილშიაც გვქონდა მოხსენებული, დიდი შუღლი გაიმართა იმის გამო, თუ ვინ უნდა ჩაეთვალათ წინასწარმეტყველ მაჰომედის მოადგილედ. მაჰომედის ძმისწული ალი რომელსაც მისი საყვარელი ასული შეირთო ცოლად, თავის თავსა სთვლიდა მის მოადგილედ. ალიმ თავის მოადგილედ (იმამად) თავისი შვილი ჰასანი დანიშნა. მაგრამ დამასკის მმართველი მუავიუ აირჩიეს ხალიფად და მთელ მუსულმანთა მმართველადაც.

მუავიესა და ჰასანს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაიწყო. მუავიემ თვითონ ჰასანის ცოლი გადაიბირა, შეჰპირდა, შენს ასულს ჩემს შვილს შევრთავო და ქმარი მოაწამლინა. თუმცა აღთქმა კი აღარ აუსრულებია. ჰასანის მემკვიდრედ გამოცხადდა მისი შვილი ჰუსეინი, რომელიც მაშინ მედინაში სცხოვრობდა. ჰუსეინას ქალაქ კუფეს მცხოვრებნი სთხოვდნენ, ჩვენთან გადმოსახლდი და იმამის ტახტი დაიმკვიდრეო.

მუავიესა და იეზიდას არ ეძინათ. ჰუსეინი თავის მხლებლებით, კუფეს მახლობლად მოსულნი, ამოჰხოცეს.

ამ თხემის ადგილს სახელად უწოდეს „ქერბალაი“, ესე იგი „ადგილი საცოდაობისა“ და ჰუსეინის სახელიც წამებულის შარავანდედით შეიმოსა ხალხის თვალში. ამ დღეს ყოველ წლივ დღესასწაულობენ შიიტები, მუჰარემის თვეში, მის მკვლელს იეზიდს და მის წინაპართ წყევლა-კრულვას უთვლიან, რადგანაც ძალმომრეობის მეოხებით ხელში ჩაიგდეს იმამატი და ალის მემკვიდრეებს კანონიერი უფლებანი ხელიდან გამოსტაცეს.

ჰუსეინმა სიცოცხლის დროსვე თავის მოადგილედ გამოაცხადა თავისი შვილი—ზეინალ-ამდინი, რომელიც მამის შემდეგ იმამად გახდა. მაგრამ ისიც ვერაგულად მოსწამლეს.

მის მემკვიდრედ დადგა მისი შვილი ბაღირი—ეს უკვე მეხუთე იმამი.

მაჰომედის გარდაცვალების მერე, დამასკის ხალიფის ბრძანებით შეიკრიბა ოთხასი მიმდევარი მისი, რომელთაც პირადად ახსოვდათ მაჰმადი. მათ შეადგინეს მაჰმადის ცხოვრების მოგონებათა კრებული, „ხადისი“ ანუ „სუნნა“ ესე იგი გადმოცემანი.

მას მერე გავიდა 100 წელიწადი. ერთმა განსწავლულმა ღვთისმეტყველმა აბუ გენევიმ-სუნიტმა — ეს ხადისები ყურანს შეუდარა, შეასწორა და დასწერა ახალი წიგნი—„განმარტებანი“ ამ წიგნში აღნუსხული იყო ყოველ მართლმორწმუნე მუსულმანის უფლებანი და მოვალეობანი დაწვრილებით. ეს წიგნი სწრაფად მოეფინა მთელს სამუსულმანოს. მას ჰნახავდით სასახლეებშიაც და უბრალო ღატაკის ქოხშიაც.

ბაღირმაც შეადგინა შიიტებისათვის „სუნნა“ (ე. ი. კანონდებანი), რომელიც დღესაც სავალდებულოა ყოველის შიიტისათვის, რადგანაც, მათის რწმენით, იგი ზეშთაგონებით დასწერეს უზენაესის მიერ რჩეულ ალისა და ფატმას ჩამომავალ შიიტების იმამებმა.

სუნიტები სასტიკად სდევნიდნენ შიიტებს, მუსრს ავლებდნენ და იქამდე შეავიწროვეს, რომ ბაღირმა და ჯაფარმა ასეთი დებულება დააკანონეს შიიტებისათვის: „ათას შიიტს შორის თუნდაც ერთი სუნიტი ერიოს, მოიქეცით ისე, როგორც სუნიტი, ნუ აგრძნობინებთ რომ შიიტები ხართ, ვინაიდან მართლმორწმუნის სიცოცხლე ყველაზე უძვირფასესია“.

თუმცა ნელნელა, დიდის გაჭირება-დევნით, მაგრამ შიიტების მოძღვრება თანდათან ფეხს იკიდებდა, ვრცელდებოდა.

აბასიდების გვარის ბრძენმა ხალიფმა გარუნ-ელ-რაშიდმა, რომელიც მშვიდად და ბრწყინვალედ მეფობდა, მოისურვა თავიდან აეცილებინა ხალხის ყვედრება, რომ მეფენი სდევნიან წინასწარმეტყველ მაჰმადის ჩამომავლობასაო. მას გაახსენდა ალისა და ფატმას ჩამომავალი იმამი მუსა, დაიბარა, თავის სასახლეში დააბინავა და დიდის მოწყალებით ეკიდებოდა; ნადიმის დროს მარჯვნივ მოისომდა ყველას ისე ჰყავდათ მიჩნეული მუსა, როგორც ხალიფის მერე პირველი კაცი სახელმწიფოში. ერთხელ მბრძანებელმა ჰარუნ-ელ-რაშიდმა ჰკითხა:

— არა გაქვს რა სათხოვარი?.. რასაცა მთხოვ, დაუყოვნებლივ აგისრულებ.

— ჩემი ნატვრა მხოლოდ ერთია, დამიბრუნეთ „ფადალას“ ბაღი.

ეს ბაღი ერთ დროს წინასწარმეტყველს ეკუთვნოდა, მაგრამ ხალიფმა ომარმა საზოგადოების საკუთრებად გამოაცხადა, ვინაიდან წინასწარმეტყველის მამული საზოგადოების კუთვნილებააო—სთქვა მან.

მეფე ვერ მიუხვდა მუსას, თუ რასა სთხოვდა.

—„ფადალას“ მაგიერ მთხოვე რომელი ბაღიც გინდა, გინდა ბაღდადისა—უბრძანა მეფემ.
მუსამ არ ისურვა.
მეფემ უბრძანა:

— აიღე პერგამენტი და კალამი, აღმინიშნე საზღვრები მაგ ბაღისა, რათა წინასწარმეტყველის ბაღი ალის ჩამომავალთა სამუდამო სამკვიდროდ გამოვაცხადოვო.

მუსამ აღნიშნა მიჯნები: აღმოსავლეთით—მდინარე ინდი, დასავლეთით—მდ. ემრო ისპაჰანისა, ჩრდილოეთ—კავკასია, სამხრეთით—მეწამული ზღვა და ინდოეთის ოკეანე. ეს იყო მაშინდელ ისლამის სამფლობელოს საზღვრები.

გარუნ-ელ-რაშიდი მხოლოდ ეხლა მიჰხვდა, თუ რას მოითხოვდა მუსა და უბრძანა თავი მოეკვეთათ მისთვის.

გარუნ-ელ-რაშიდის მერე ტახტზე ავიდა მამუნ-ელ-რაშიდი. იგიც დიდის პატივით ეკცეოდა მუსას შვილს, იმამს რზას, რომელიც მასთან ერთად სცხოვრობდა ხორასანში.

მამუნ-ელ-რაშიდი თავისუფალი მოაზრე ხალიფი იყო; მას ისე შეუყვარდა იმამი რზა, რომ თუმც პირდაპირი მემკვიდრენიც ჰყავდა, მაგრამ იგი დანიშნა ტახტის მემკვიდრედ. ამითი მას იმისი თქმა ჰსურდა, რომ ხალიფების ტახტი ალის ჩამომავალთ უნდა ეკუთვნოდესო. სუნიტები საშინლად გააბრაზა ხალიფის ასეთმა საქციელმა და იმამი რზა მოწამლეს.

რზას მერე იყო იმამად ნაღი, მერე ტაღი, ისინიც ხალიფის სასახლეში სცხოვრობდნენ, მაგრამ, შიიტების გადმოცემით, ორივენი სუნიტებმა მოწამლეს. საზოგადოდ, როგორც სჩანს, სპარსეთის მბრძანებელნიც კი სცდილობდნენ, რომ წინასწარმეტყველის ჩამომავლობა დაეახლოვებინათ, მუდამ თვალყურის ქვეშა ჰყოლოდათ, თითქოს წყალობის კალთასაც აბღერტავდნენ, მაგრამ ერთი-მეორეზე ასალმებდნენ წუთისოფელს, ხან პირადის ბრძანებით, ხან—სხვათა ხელით.

იმამს დიდი გავლენა და უფლება ჰქონდა. მთელი ხალხის სულისკვეთება მათ ხელში იყო. მუშტეიდს უფლება აქვს შაჰის ბრძანება გააუქმოს, შეუძლიან ბრძანება გასცეს, რომ შაჰის ბრძანება სარწმუნოების დოგმას ეწინააღმდეგება და არ შეასრულოთო, შეუძლიან წმინდა ომი გამოუცხადოს შაჰსაც და სხვა მმართველთაც.

1890 წელს ნასრ-ედ-ედინ შაჰმა ინგლისელებს თამბაქოს გაყიდვის კონცესია მისცა. თავრიზის მუშტეიდი მირზა-ჯავად-აღა წინააღუდგა შაჰის სურვილს და მართლმორწმუნე მაჰმადიანთა მიმართ ბრძანება გამოსცა: აღარ მოსწიოთ თუთუნი, დაამსხვრიეთ თქვენი ყალიონები, ინგლისელთაგან ნასყიდი თამბაქო გადაჰყარეთ, რადგანაც იგი უწმინდურია, (ჰარამია). ეს ბრძანება შირაზის მუშტეიდმა მირზა-აღამაც დაადასტურა.

მთელს ირანში დაამსხვრიეს ყალიონები, ინგლისური თუთუნი სანაგვეზე გადაჰყარეს. მუშტეიდის ბრძანებას დაემორჩილა ყველა, არამც თუ უბირი ხალხი, არამედ სპარსეთის არისტოკრატია და თვით სასახლის წარჩინებულნიც. შაჰი იძულებული გახდა ინგლისელებთან დადებული კონცესია გაებათილებინა.

ეს მაგალითიც თვალსაჩინოდ ამტკიცებს თუ რა დიდი გავლენა ჰქონია სპარსეთში სარწმუნოების წარმომადგენელთ, თუ რა უძლური ყოფილა მათთან ბრძოლაში თვითონ

---

*) „Имаматъ, страна поклонниковъ имамовъ“. Соч. Атрпета, съ илюстраціонн. цѣн 1 р.

ლიანი კოდნა? მან დაგვიტოვა ორი მეცნიერული შრომა ა) **„ღვინის დაყენება“** და ბ) **„რძისა და ყველის გაკეთება“**, რომლის მსგავსი იშვიათად მოეპოვებათ სხვებს. იმ ერისთვის, რომლის ენაზედაც სამეცნიერო ტერმინები არ არის შემუშავებული და გამოგონილი, ძალიან ძნელია სამეცნიერო შრომის დაწერა, მაგრამ განსვენებული არ შეუშინდა ამას და შესაფერი და ყველასთვის გასაგები ტერმინები შექმნა. მთელი შრომა ისეთის მდაბიო ენით არის დაწერილი, რომ ყველა ქართველს შეუძლიან ადვილად ისარგებლოს ამ წიგნით. იგი სამსახურისა გამო მოშორებული იყო თავის სამშობლოს, მაგრამ მაინც ცდილობდა რამე სარგებლობა მოეტანა იმ ერისთვის, რომლის მიწა-წყალისაკენაც იყურებოდა მისი გონივრული თვალები და ნატრობდა რომ მშობლიურ მიწას, სიცოცხლით დანატრულებულს, სიკვდილის შემდეგ მაინც ჩაეკონებინა მისი ნეშტი.

ამ ათი წლის წინად, როდესაც უკანასკნელად ჩამოვიდა განსვენებული საქართველოში და მივიდა თავისიანებში, ყველანი სიხარულისაგან ატირდნენ და შემოეხვივნენ. ვასომაც გული ველარ მოიმაგრა და აკანკალეულის ხმით მოუბრუნდა თავის ძმისწულებს: რადა სტირით, შვილებო? სიხარულისაგან, თუ გულმა გიგრძნოთ, რომ უკანასკნელადა ვარ თქვენთან? არა. მე მალე სამუდამოდ დავბრუნდები საქართველოში და მაშინ სულ თქვენთან ვიქნები. თუ ვინიცობაა მანამდინ არ დამცალდა, ნურც მაშინ იტირებთ, როცა ჩემ სიკვდილს გაიგებთ; მხოლოდ შემიბრალეთ, რომ უცხო ქვეყნის მიწამ უნდა შესჭამოს ჩემი ძვლებიო.

ასეც მოხდა: 1908 წ. გარდაიცვალა საზღვარ გარედ და დამარხულია ოდესაში. ახდა მისი წინასწარ-მეტყველება. მაგრამ, მე ვგონებ, ყველას უნდა ახსოვდეს მაშინდელი განზრახვა, რომ უეჭველად საჭიროა განსვენებულ ვ. მ. პეტრიაშვილის ნეშტის გადმოსვენება ტფილისშიო. ტფილისი, როგორც დედა-გული საქართველოსი, საერთო სავანეა ყველა წარჩინებულ და მოღვაწე ქართველთათვის და ნურც განსვენებულ პეტრიაშვილის საფლავს გამოვწირავთ საქართველოს.

ქ. შ. წერა-კითხვის საზოგადოება, რომელსაც განსვენებულმა უანდერძა თავისი ძვირფასი ბიბლიოთეკა, მოვალეა ითავოს ეს საქმე. მართალია, მათ ისეც ძალიან ბევრი საქმეები აქვთ, მაგრამ არც ეს საქმეა უბრალო.

ჩემის აზრით, უნდა საგანგებოდ ამ საქმისათვის შესდგეს ცალკე კომიტეტი, რომელშიაც შევლენ წ.-წითხვის და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებათა გამგეობის წევრნი, სათავ.-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს წევრნი, რედაქციების წარმომადგენელნი, სხვა დაწესებულებანი და კერძო პირნიც. ასე შემდგარ კომიტეტის მიზანი იქნება გამოსძებნოს წყარო ამ საქმისმოსაწყობად, ნება აიღოს, ვისგანაც ჯერ არს, გადმოსვენებისა და ამოირჩიოს რამდენიმე პირი, რომელთაც მინდობილი ექნებათ ოდესიდან განსვენებულ ვ. მ. პეტრიაშვილის ნეშტის მოსვენება ტფილისში. სასურველია ამ უკანასკნელთა შორის ნ. ყ. თავდგირიძეც იყოს, რომელმაც კარგად იცის ყველაფერი, როგორც განსვენებულის მეუღლის ძმამ.

ვთხოვ უმორჩილესად, სხვა რედაქციებმაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

ზ. ი. ჩხიკვაძე.

პეტერბურგის სამხედრო აკადემიის სტუდენტის ალ. იაკობის ძე წერეთლის ხსოვნას.

შესწყდა ცხოვრება ახალგაზდა, კეთილშობილი მისწრაფებით გატაცებულ ადამიანისა; დადუმდა ენა სიმართლისა და თავისუფლებისათვის მეტყველი; დაყუჩდა გული, ტანჯულ მოძმეთა სიყვარულით გამსჭვალული; სამუდამოდ დაიხუჭა თვალები უწმიდეს ცეცხლით გაბრწყინვებული, ალექსანდრე გარდაიცვალა...

დღეს, როდესაც წრფელის მიზნებით გატაცება სრულის სასო მიხდით შეიცვალა, როდესაც ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობით გულ-გატეხილობამ თვის უმაღლეს წერტილს მიაღწია და ჩვენი ახალგაზდობა ძლავრად წარიტაცა უიძეღობისა და უილაჯობის ძლიერმა ტალღამ, ალექსანდრესთანა უძწიკვლო ზნეობისა და საერთოდ პიროვნების დაკარგვა მეტად მძიმე და აუტანელია. სულის სიმშვენიერით ალექსანდრეს არა ერთი მეგობარი და ნაცნობი დაუტყვევებია. მის გულში ცხოვრების აბობოქრებული გრძნობებით მას არა ერთი და ორი „განდგომილი“ ახალგაზდა დაუბრუნებია ცხოვრებისათვის, რომელიც თვით არის ამის წყარო ყოველივე ბედნიერებისა და ნეტარებისა... ყველგან და ყოველთვის ალექსანდრეს საზოგადო საქმეებისადმი მისწრაფება და სიყვარული შეჰქონდა და დიდ იმედს იძლეოდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ წაგვართვა მისი თავი.

შორიდან მუხლს ვიყრი ახლად გაჭრილ შენს სამარის წინაშე, ვემთხვევი შენს გაცივებულს გვამს და გეფიცები, რომ უკვდავი იქნება შენი ხსოვნა ჩემს გულში, სანამ მეც ცივ მიწას არ მიმაბარებენ.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, უდროოდ წუთი-სოფელს გამოსალმებულო კეთილშობილო ახალგაზდავ!

ალ. წერეთელი.

სიღნაღის წყალ-საყვანი

ეს ერთი ხანია სიღნაღის ქალაქის თავის ენიკოლოფოვისა და ინჟინერ ქურდიანის შორის კამათია ატეხილი სიღნაღის წყალ-საყვანის თაობაზე.

ეს კამათი გაზეთ „ზაკავკაზიეს“ მე-10 ნომერში მოთავსებული კაფარის კორესპონდენციამ გამოიწვია. კორესპონდენციით ბ. ენიკოლოფოვმა თავისი თავი შეურაცყოფილად სცნო და გაზეთ „ზაკავკაზიეს“ რედაქციის მიმართ წერილში ვრცლად ეხება სიღნაღის წყალსაყვანს.

წყალსაყვანის საკითხი 1906 წელს აღძრულა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო იგი 1911 წლამდის ვერ განხორციელებულა. ენიკოლოფოვისათვის ამ საქმის შესრულების სურვილი განუცხადებიათ სხვათა შორის სალმანსა და იანცევს, პირველის ვარაუდით ამ საქმეს 30000 მანეთი სჭირდებოდა, ხოლო მეორის კი 40000 მანეთი. ენიკოლოფოვს წერილობით მიუმართავს ტფილისის ქალაქის თავის ხატისოვისათვის, ინჟინერ ქურდიანის შემწეობით შემიდგინეთ დაახლოვებითი სმეტა წყალსადენის გამოყვანისაო.

„ქურდიანისაგან მართლაც მივიღე ერთი თვის შემდეგ სმეტა, რომლითაც წყალსადენის გამოყვანა 18085 მ. იყო ნავარაუდევი,-სწერს ენიკოლოფოვი,—მაგრამ ეს სმეტა ტფილისში იყო შედგენილი და შეცდომით ნაჩვენებ ზომების მიხედვით ჩემგან იყო გამონგარიშებული. სანამ ამ სმეტას მივიღებდი, სალმანმა კვლავ გაზომა წყალსადენი და მის გასაყვანად 25—28000 მანეთი მოითხოვა.“

ენიკოლოფოვს 16 დეკემბერს 1911 წელს მიუღია ნებართვა გუბერნატორისაგან და სალმანთან ნოტარიული ხელშეკრულება დაუდვია.

ენიკოლოფოვი აცხადებს, რომ მისთვის ქურდიანს არასოდეს არ განუცხადებია სურვილი, რომ სიღნაღში წყალ-სადენის გაყვანას იკისრებდა.

„ზაკავკაზიეს“ იმავე ნოხერში მოთავსებულია წერილი ინჟინერ **ქურდიანისა** სიღნაღის წყალ-საყვანის შესახებ.

ინჟინერს 1909 წელს დაუთვალიერებია და ის აზრი გამოუთქვამს, რომ ამ წყაროების სამი ვერსის მანძილიდან გამოყვანა სრულიად დააკმაყოფილებდა მთელი სიღნაღის მცხოვრებელთა მოთხოვნილებას. ქურდიანს სმეტა 15,265 მანეთად უვარაუდნია და მასთან უთქვამს: ადგილობრივ პირობების შესწავლის შემდეგ, შესაძლებელია სმეტა კიდევ შემცირდესო. ბ-ნ ქურდიანის აზრით, წყალსადენისთვის პირველ წელს საჭირო იქნებოდა 15,265+240 მანეთი და მოსამსახურეთათვის 2,580 მანეთი, სულ 18,085 მან.

ხელშეკრულების ძალით სალმანს უფლება ეძლევა ვედრო წყალი ნახევარ კაპეიკად ჰყიდოს მცხოვრებლებზე. ბ-ნი ქურდიანი გაოცებულია ამ ფასით და აღიარებს, რომ ასეთი ფასი რუსეთის არც ერთ ქალაქში არ გაგონილაო. „წარმოვიდგინოთ,—ამბობს ბ-ნი ქურდიანი,—რომ წყალს იყიდის მხოლოდ 10000 სული და დღეში ერთ ვედროს იკმარებს. აქედან კონცესიონერს დღეში 50 მანეთი მოგება დარჩებათ, წელიწადში კი—18,250 მან.

ამრიგად კონცესიონერი პირველსავე წელს აინაზღაურებს როგორც მოსამსახურეთა ჯამაგირებს, ისე წყალსადენის გამოყვანის ხარჯს, ხოლო დანარჩენი 24 წელი კი თვის ჯიბეს 438,000 მან. შესძენს. ეს თუ დღეში 10000 ვედრო წყალი გაჰყიდეს, ხოლო თუ მცხოვრებლებს წყალი მეტი დასჭირდა, რასაკვირველია, შემოსავალიც იმატებს..,

წარმოვიდგინოთ, რომ ჩემ მიერ შედგენილი სმეტა ცოტაა და წყალსადენის გამოსაყვანად 30000 მანეთია საჭირო, მაშინ ხარჯი ერთი წლისა და 8 თვის შემდეგ იქნება ანაზღაურებულიო“ ბ-ნი ქურდიანი აღნიშნავს მრავალ თვალსაჩინო დეფექტს ხელშეკრულებაში, მაგალითად, არ არის აღნიშნული, თურმე, წყლის თვისება, მისი რაოდენობა და სხვა მრავალი. ბ-ნი ქურდიანი ადასტურებს ენიკოლოფოვის სიტყვებს, რომ მას არ გამოუთქვამს სურვილი წყალსადენის გაყვანის აღებისა. დასასრულ ქურდიანი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ სიღნაღის ქალაქის თავი ენიკოლოფოვი მჩატე ქონების შეძენის სურვილით განმსჭვალულ პირთა მახეში ჩავარდა.

შაჰიც და ცხად ჰყოფს იმასაც, რომ ასეთი, ორი მოწინააღმდეგე ბანაკად დაყოფილი ხალხის მმართველობა ვერავითარ მთლიან წეს-წყობილებას ვერ დაამყარებდა სახელმწიფოში. ამას დაუმატეთ სუნიტებისა და შიიტების შორის ატეხილი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და ნათლად წარმოიდგენთ, თუ რა ჯოჯოხეთურ სატანჯველში უნდა ყოფილიყოს თვით სპარსეთის უბირ ხალხის გაწამებული სიცოცხლე.

გარდა ამისა სასულიერო პირთ არა თუ მხოლოდ ზნეობრივი გავლენა აქვთ ხალხზე, არამედ ისინი მართლმორწმუნე მუსულმანთა ყოველ დღიურ ცხოვრებასაც სათავეში უდგანან, მათი ცხოვრების სადავე ხელთ უპყრავთ. ყურანის მოთხოვნილებით და 12 იმამთა ხაედივებს ძალით, ყოველი მუსულმანი ვალდებულია თავის ყოველწლიურ წმინდა მონაგრის ათისთავი გაჭირვებულთა და უმწეოთ სასარგებლოდ გადასდოს; ამ ფულს იგი პირადად იმამს წარუდგენს ხოლმე.

ამ სახით მუშტეიდის ხელში გადადის მთელი იმედი ღარიბ-ღატაკთა, და სულთან ერთად ხორციელადაც მის ხელში შემყურედა ხდება. გარდაცვალებულის მემკვიდრეც აგრეთვე მოვალეა საკვიდროს ნასამედი ღარიბების სასარგებლოდ გადასდოს. ამ ფულსაც მუშტეიდს გადასცემენ სათანადოდ განაწილებლად. ქორწინებაა, თუ რაიმე მომგებიან საქმის გარიგება, ყოველი მართლმორწმუნე მუსულმანი თავის მოვალეობად სთვლის, ხელ-მოკლე თანამოძმეს უწილადოს მონაგრის ნაწილი და ისევ იმავე მუშტეიდის ხელით.

ამგვარად მუსულმანთა სასულიერო წოდება ფრიად მკვიდრ ნიადაგზე სდგას, მაგრამ ჩაუბღუჯია მართლმორწმუნეთა სული და ხორცი. ხოლო მათი მბრძანებელი არის ყურანი, შერიათი და ხადისი. ამ წმინდა დებულებათა გარეშად უფროსად და ბრძანებელად არავინ მიაჩნიათ: არც შაჰი, არც ადმინისტრაცია.

ხალხიც თანდათან ერკვევა ბურანიდან, ჰხედავს სასულიერო წოდების ანგარებას, ამჩნევს მთავრობის თაღლითობას და უნდობლად ეკიდება ორთავეს.

ფრიად დამახასიათებელია, რომ ურმიის ტბის სამხრეთ ნაპირებზე მცხოვრები სოუჯ-ბულაყის ქურთები თავის დღეში არ ენდობიან არამც თუ სპარსეთის დიდებულის, არამედ თვითონ შაჰის ფიცსაც.

სპარსელი ვერც ერთ სუნიტს ვერ დაარწმუნებს ფიცით. გამოცდილებით იციან, რომ სპარსელის ფიცი ცბიერია. თავგვიატი ნებას იძლევა, ათასჯერ დაიფიცოს და ათასჯერვე გასტეხოს ფიცი.

როდესაც სპარსეთი გამოღვიძების გზას დაადგა, როდესაც მართლმორწმუნე მუსულმანთა კარ-მიდამოც ადამიანურის გულის-ძგერით ატოკდა და ძველ წესწყობილების სადავეები დასწყვიტა, მაჰომედ-ალი შაჰს ერთხელ დაფიცება როდი აკმარეს, იგი ექვსჯერ დააფიცეს საჯაროდ, რომ სპარსეთის კონსტიტუციას არ უღალატებდა. მაგრამ დღეს მთელი ქვეყანა ნათლად ჰხედავს, რომ მაჰომედ-ალი შაჰმა ეს ფიცი ნიავს გაატანა, თავის ღვიძლ შვილის წინააღმდეგ იბრძვის, სპარსეთი უფსკრულის პირას მიიყვანა და გადასჩეხს კიდეც, თუ უკვე არ გადასჩეხა.

უწესრიგობა
რკინის გზის კანდუქტორებისა.

ძირულის სადგურზე, ახალ წლის დღეს ასეთი გულქვა უდიერობა მოხდა. ძირულაში თავის ცოლ-შვილით მიდიოდა მელიტონ მახათაძე. ბილეთები ჰქონდა ძირულამდე. რაღაც მიზეზით ძირულაში ველარ მოესწრო ჩამოხტომა და ლაშეს ბაქანზე უნდოდა ჩამოსვლა. კანდუქტორები შემოეხვივნენ და არ უშვებდნენ. მგზავრი ეხვეწებოდა: ჩემსა და ჩემი მეუღლის მაგიერ მიიღეთ, რაც გენებოთ, ამ ორი წლისა და ხუთის წლის ბავშვისას ვერ მოგცემთ, არც კანონი მაკისრებსო“. კანდუქტორები გზაში ჩაუდგნენ და კარი მიუკეტეს. მატარებელი დაიძრა. მაშინ გააღეს კარი, კისერში ჰკრეს ხელი და ვაგონიდან გადააგდეს, თან მიაყოლეს მისი ცოლიც, რომელსაც ორი წლის ბავშვი ხელში ეჭირა. მეორე ბავშვი ვაგონში დარჩათ. დედამ კივილი მორთო: მიშველეთ, ბავშვი ვაგონში დამრჩაო“. ერთმა ღვთისნიერმა აიტაცა ბავშვი და ჩაირბინა ვაგონის კიბეზე და მიაწოდა.

კინაღამ ბავშვი ვაგონმა შეითრია. მთელი დამსწრე ალხი აღელვებული იყო ასეთი საქციელით.

ნუ თუ ყურადღებას არ მიაქცევს კონდუქტორების ასეთ საქციელს ვისგანაც ჯერ არს? **ნ. ი. კ—ძე.**

ღამე

ღამეა... მკვდართ ძილი!
არც ერთი ვარსკვლავი!
სიჩუმე... დუმილი.
ყრუ და გულ საკლავი!..
გონებას ეჭვები
შავ ფრთებსა უსხავენ,
სულსა ვით ხიჭვები
სჩხვლეტენ და სუსხავენ!
წყვდიადი მიმურავს
გრძნობასა და ნებას,
შავებით მიბურავს
ნაზ-ჩვილსა ოცნებას!
სევდასა ვერ იტევს
ეს გული ეული,
და იწევს... სად იწევს,
დაჭრილი, სნეული?!..
სთქვი რამე! სთქვი რამე!
სიჩუმე მაკმარე!
შენც სდუმხარ, ვით ღამე,
ვითა თვით სამარე!..
მაჩუქეთ ღიმილი
უღრუბლო და თბილი,
მასმინეთ ჟღივილი
ფრთოსანთა ხმა-ტკბილი!
მასმინეთ სიმღერა
წრფელ სიხარულისა
მასმინეთ სიმთ ჟღერა
ტკბილ სიყვარულისა!..
მომეცით მახვილი
მჭრელი და ელვარე!
მასმინეთ ძახილი
ბრძოლისა მღვზნებარე!....
ღამეა... სდუმს არე...
არც ერთი ვარსკვლავი!..
სიჩუმე მწუხარე,
ყრუ და გულ საკლავი...

კ. მაყაშვილი.

პატარა ფელეტონი
სიყვარული
(ჰამსუნით)

და მერე, რა იყო სიყვარული?

მთის ნელი ნიავი ყვავილებში მონავარდე, არა, მოყვითალო ნაპერწკალი, რომელიც სისხლში ღვივის. სიყვარული ჯოჯოხეთური მუსიკა, რომელიც ხშირად მოხუცის გულსაც ატოკებს.

იგი ემსგავსებოდა მაისის მწყრისთვალას, რომელიც ბინდისას ლაღად იშლება, იგი ემსგავსებოდა სათუთიას, რომელიც ხელის მიკარებაზედაც კი სჭკნება.

ამგვარი იყო სიყვარული.

მას შეეძლო ადამიანი დაეღუპა, კვლავ ფეხზე წამოეყენებინა და ისევ უფსკრულში გადაეტყორცნა.

მას შეეძლო დღეს მე შევყვარებოდი, ხვალ—შენ, ზეგ—ის, ასე ცვალებადი იყო იგი. მაგრამ ამავე დროს მას შეეძლო დაურღვეველ ბეჭედივით მტკიცე ყოფილიყო, და მის ალს სიცოცხლის უკანასკნელ წამამდის ელაპლაპნა, რადგანაც მუდმივი იყო.

მაშ, რა იყო სიყვარული?

ახ, სიყვარული — ეს ვარსკვლავთა თვალებით გაბრწყინვებული ზაფხულის ღამეა, მაგრამ რად ისტუმრებს იგი ჭაბუკს იდუმალ გზებზე და მოხუცებიც რად დადიან ცერებზე თავის ოთახში მისვე წყალობით.

განა ის არ აიძულებს ბერს, შეიჭვრიტოს სხვის ფანჯრებში?

განა იგი არ აგიჟებს მონაზონს, და პრინცესას ის უპნევს გონებას?

მეფეს ისე დაბლა დაახრევინებს თავს, რომ კულულებით ქუჩის მტვერს ახვეტინებს, თანაც ურცხვ სიტყვებს ამეორებინებს, ენას გამოაყოფინებს.

ასეთი იყო სიყვარული.

არა, არა იგი სულ სხვა იყო, იგი სრულებით არა ჰგავდა ამა ქვეყნიურს. იგი გაზაფხულის საღამოს მოევლინა მიწას სწორედ იმ დროს, როცა ჭაბუკმა პირველად შეამჩნია ორი თვალი, რომელთაგანაც სიყვარულის სხივი ოდნავ, ოდნავ კრთოდა:

იგი უკოცნიდა ბაგეს, თითქოს ორი მნათობი შეიყარა მის გულში, ნაზ სხივოსანი მზე, რომელიც შუქურ ვარსკვლავს უღიმოდა.

იგი ვნების მორევში შესცურდა. იმ წამს არც არას ჰხედავდა, არც არა ესმოდა. სიყვარული—ეს შემოქმედის პირველი სიტყვა, პირველი აზრია, რომელმაც პირველად გაუელვა მას თავში.

და მაშინ—რქვა უფალმა: წარმოიშვას ნათელი. და დაიბადა სიყვარულიც. და ყოველივე ის, რაც მან უკვე შეჰქმნა იყო სრულყოფის გამომსახველი, და ამიტომაც მას შემდეგ ერთხელაც კი არ უზრუნია შექმნილზე.

და სიყვარულიც შეიქნა ცხოვრების წყაროდ, მსოფლიოს სრულ უფლებიან დედოფლად. თუმცა ყოველი მისი კვალი მოფენილია სისხლითა და ყვავილებით... ყვავილებითა და სისხლით.

კ. აბაშისპირელი.

იაპონური ზღაპრები
ჯიუ-როქიუ-ზაქურა
(ლაფკადიო ჰიორნისა)

უსო ნო იონა-
ჯიუ-როქიუ-ზაქურა
საქი ნი კერი!

(ვაჰ, ერთ ალუბლის დღიურა ხე უკვე დასჭკნა!)

იოს მაზრის ერთ-ერთ ნაწილში, ვაკე-გორში, არის ერთი ბებერი ალუბლის ხე. ამ ხეს ჯიუ-როქიუ-ზაქურას ეძახიან, ანუ „მეთექვსმეტე დღის ალუბლის ხესა“, რადგანაც ყოველწლივ იღებს ყვავილს პირველი თვის (ძველი კალენდარით) მეთექვსმეტე დღესა და ჰყვავის ხოლმე მხოლოდ ერთი დღე. უცნაურია ეს ხე, იშლება მაშინ, როცა ძალზედა ჰყინავს, თუმცა ჩვეულებრივად ალუბალი გაზაფხულზე ჰყვავის ხოლმე. მაგრამ ჯიუ-როქიუ-ზაქურას აცოცხლებს და ჰშლის ხოლმე გარეშე ძალა. ამ ხეში ჩამდგარია ადამიანის სული.

⁂

იოში სცხოვრობდა ერთი სამურაი*). სამურაის ბაღში ხარობდა ალუბლის ხე. ეს ხე ჩვეულებრივად თავის დროზე იშლებოდა ხოლმე —მარტის გასულს, ან აპრილის დამდეგს. პატარაობისას სამურაი ჩრდილს ქვეშა თამაშობდა, იმისი მამა-პაპა ათას წელზე მეტს ყოველ წელიწადს ამ ხის ტოტებსა რთავდნენ ლექსებით წარწერილ ქაღალდის ჭრელ-ჭრელ ლენტებით. სამურაი ძალიან მოხუცდა. დაეხოცა ყველა შვილები. არარაფერი დარჩა, რომ მასა ჰყვარებოდა, გარდა ამ ალუბლის ხისა. მაგრამ, დახე უბედურებას, ერთს ზაფხულს ხემ ჭკნობა იწყო...

იტანჯებოდა მოხუცი, რომ ხედავდა, როგორა ხმებოდა ხე, რომ ენუგეშებინათ, მეზობლებმა მოიტანეს ნორჩი, მშვენიერი ალუბალი და ბაღში ჩაურგეს. მოხუცმა დიდი მადლობა გადაუხადა, ისე აჩვენა თავი ვითომდა გამეხარდაო. მაგრამ გული ბოღმით სავსე ჰქონდა. მას ისე უყვარდა ბებერი ალუბალი, რომ მის მაგიერობას ვერავინ გაუწევდა.

ბოლოს კეთილმა აზრმა გაურბინა მას თავში. მოაგონდა, როგორ უნდა ეშველნა ალუბლის ხისათვის, რომ არ გამხმარიყო. (პირველი თვის მეთექვსმეტე დღე იყო). ჩუმად გაიპარა სამურაი ბაღში, დაიჩოქა ალუბლის წინ და ვედრება დაუწყო,

— გემუდარები, სთხოვდა სამურაი, მხოლოდ ერთხელ კიდევ გაიფოთქე. მე მოვკვდები შენს მაგივრად!..

რწმენაა დარჩენილი, რომ ღმერთების წყალობით შეგიძლიან შენი სიცოცხლე სხვის გულისათვის შესწირო—ადამიანის, ცხოველის, მცენარისათვისაც კიაო. ამ სიკვდილს სხვის გულისათვის ჰქვიან მიღავარი ნი თათსუ, ე. ი. სხვის ადგილი დაიჭირო შენა. ლოცვა რომ გაათავა, მოხუცმა ალუბლის ქვეშ თეთრი ჩარსავი და რამდენიმე საბანი გაშფინა, წამოწვა ზედა და სამურაების ჩვეულებისამებრ გამოიფაშვა მუცელი. იმისი სული ალუბლის ხეს ჩაედგა და ის მაშინვე აჰყვავდა.

დღესაც, ყოველს წლივ, პირველი თვის მეთექვსმეტე დღეს ის ხე ჰყვავის ხოლმე შუა ზამთარში.

ხან-განიძე.

მოწერილი ამბები

სოფ. გურჯაანი (ქიზიყი). სამშაბათს, 3 იანვარს, გურჯაანის საქალებო სკოლის გამგემ მღვდ. მ. იოსებ ახალშენაშვილმა და მასწავლებელმა ქ. ე. ხატროშვილმა გამართეს „შობის ხე“ [illegible] მოწაფეთათვის ადგილობრივ წიგნთსაცავ სამკითხველოს შენობაში. სანამ მოწაფეები მოვიდოდნენ დანიშნულს ადგილს, იქ უკვე შიგნით თუ გარედ ხალხით გაჭედილი იყო ასე, რომ მოწაფეები ძლივ-ძლივობით შევიდნენ დარბაზში. კარებთან შეკრებილი ხალხი უწმაწურ სიტყვებით ერთი მეორეს უმასპინძლდებოდა, ერთი მეორეს ეხეთქებოდა, კეტიც კი დატრიალდა... თითო სახლიდან 3-4 ქალი მოსულიყო ბავშვებით, და ისედაც პატარა შენობაში მობრუნებაც კი შეუძლებელი იყო.

ბოლოს მოწაფენი სოფლის პატარა ბავშვები გაბრწყინებულ სახით „შობის ხეს“ გარს შემოეხვივნენ. მომღერალთა გუნდმა, რომელიც იმავ სკოლის პატარა მოწაფე ქალებისაგან შესდგებოდა, მასწავლებელ ლ. მუღალაშვილის ხელმძღვანელობით მწყობრად იმღერეს: „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“,—„ჩუხჩუხით ჩამორბოდა“, „ამირანი“, „წარველ წყლის პირსა“, „გალიაში რომ გაგზარდე“ და „განშორების საათმა დაჰკრა“.

პატარა მოწაფეები ქართულის კილოთი მკვირცხლად კითხულობდნენ სხვა და სხვა ქართულ ლექსებს. მოწაფეებს პატარ-პატარა ქართული წიგნები და ტკბილეულობა დაურიგეს. სიამოვნებით დამტკბარი ბავშვები საღამოს 9 საათზე დაიშალნენ.

ხეფ—ლი.

არეულობა სპარსეთში
დეპეშები.

ლონდონი. „დეილ-მეილ“ გაზეთი აღნიშნავს, სპარსეთს დანაწილებისაგან მხოლოდ რუსეთ-ინგლისის მეგობრობის განმტკიცება იხსნისო.

გაზეთებიდან
მოკლულთა ძებნა.

თავრიზში დაგეშილ ძაღლების დახმარებით ეძებენ საკონსულოს მცველ მოკლულ 20 ჯარის კაცის გვამებს.

რუსეთის წარმომადგენელმა თეირანში სპარსეთის მთავრობას მოსთხოვა იმ ხარჯის ანაზღაურება, რაც რუსეთმა წესიერების აღდგენისათვის დახარჯა. ინგლისი სპარსეთს ურჩევს, აუსრულე მოთხოვნილებაო.

ჩინეთის რევოლუცია
დეპეშები.

ჩიფუ. ქალაქში მოხალისეებს აგროვებენ და ბევრიც მოაგროვეს. გუბერნატორმა კონსულებს ოფიციალურად გამოუცხადა, პრეზიდენტის სუნიათზენის ნებართვით უცხოთა სიცოცხლისა და ქონების დაცვას ვკისრულობო. ხმა დავარდა, ლაიჩჟოუფუ რევოლუციონერთა ხელშიაო.

გუბერნატორმა რამდენიმე აფიცერი გაჰგზავნა პროვინციაში. ჯარისკაცთა მოსაგროვებლად. ჩიფუსთან მდებარე ქალაქი ფუშანიანი რევოლუციონერებს მიემხრო. ვანსიჩკას მიდამოებში ბრძოლა მოხდა. მთავრობის ჯარმა ორი სოფელი დასწვა.

იოკოჰამა. მეთორმეტე დივიზიელებს თავი მოუყარეს. დაირენის გზით მანჯურიას 10 ათას კაცს ჰგზავნიან.

კულჯა. ძველ სუიდუნში თოფისწამლის საწყობი აფეთქდა. 100 სახლი დაინგრა. დაჭრილ-დახოცილი ბევრია.

აფეთქება, როგორც გამოირკვა, ძველი ჯარის უფროსს ჩინტაის მოუხდენია, იგი რევოლუციონერებმა ამას წინად სამსახურიდან დაითხოვეს. ამბობენ, ჩინტაი დაიღუპა აფეთქების დროსაო. ახალ მთავრობის სადგომებზე რევოლუციონერთა დროშა ფრიალებს.

პეკინი. გამოიცა მეფის უმაღლესი ბრძანება, რომ საეროვნო კრების მოწვევით გადასწყვიტონ საკითხი, ნათქვამია აგრეთვე, შანჰაიში ამის თაობაზე უკვე მოლაპარაკებაა დაწყებულიო. საერთოდ არაფერი შეცვლილა. ხმა დავარდა, იუანშიკაი თავს ანებებს სამსახურს და სამხედრო

---

*) ჩვენებური მებატონე. ს—გ.

მინისტრის მაგივრად ჯაოერსუნს ამწესებენო. თელიანი ინჩანს სამხრეთის ჯარის უფროსობას ჩააბარებენ. ქუბეის ჯარის ერთი პოლკი რევოლუციონერების მხარეს გადავიდა.

იტალია-ოსმალეთის ომი

დეპეშები.

ტრიპოლი. გუშინ არაბთა რაზმი იტალიელთა გარგარეშის სადარაჯოს დაეცა, მაგრამ უკუქცეულ იქმნა.

ბენგაზი. ამ დღეებში რამდენიმე ბრძოლაში ბედუინებსა და ოსმალებს 150 კაცი დაუქრეს და დაუხოცეს. იტალიელები არ დაზარალებულან.

პარიზი. რომში მყოფმა საფრანგეთის კონსულმა პუანკარეს დეპეშით აცნობა, გემ „მანუბას“ ინციდენტის თაობაზე მოლაპარაკება დავიწყეთ იტალიის მთავრობასთანაო.

რომი. „სტეფანის სააგენტო“ იუწყება, ტყუილია სტამბოლიდან გავრცელებული ამბავი, ვითომც 7 იანვარს დერნას ბრძოლაში იტალიელები დამარცხებულიყვნენ, 200 კაცი მოეკლათ, დაჭრილი გენერალი ტყვედ წაეყვანოთ და დიდძალი იარაღი წაერთმიოთო. ნამდვილად კი 4 იანვარს შემდეგ, როდესაც ოსმალნი დიდად დაზარალებულნი უკუიქცნენ, დერნასთან ბრძოლა სრულიად აღარა ყოფილა.

„მანუბას“ მგზავრები გამოსცადეს და აღმოჩნდა, რომ უმრავლესობა მართლაც სამედიცინო ნაწილს ეკუთვნის. ბარერი სან-ჯულიანოს დიდხანს ელაპარაკა და გამოუცხადა, ყველაფერი უნდა აასრულოთ, რაც პუანკარემ პალატაში ახსენა და მოითხოვაო. იმედოვნებენ, რომ ეს საქმე მშვიდობიანად დასრულდება.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

საზღვარ-გარედ.

12 იანვარი.

სტამბოლი. პალატის ნაპრეზიდენტალი აჰმედ რიზა სენატორად დაინიშნა. ჯილდოდ აჰმედ-მირზას ვალიდეს სასახლე უბოძეს საცხოვრებლად.

მადრიდი. კანალეხასმა პალატაში განაცხადა, სამინისტროს ყოველთვის ნდობით ეპყრობოდა მეფე და პალატის უმრავლესობა სამინისტროს წევრები შეთანხმებულად მოქმედებენო. მაგრამ გამოაცხადა, ტყუილია, ვითომც საქმის გართულების მიზეზი მე ვყოფილიყოო.

პარიზი. სენატის კომისიამ 15 ხმით 2 წინააღმდეგ (ოთხმა მონაწილეობა არ მიიღო) საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება დაამტკიცა.

ლისაბონი. ამბობენ, სამინისტრო კრიზისს განიცდისო. ახალშენთა მინისტრი სამსახურიდან გადადგა, რადგან ტუნის-აფრიკას რკინის გზის საკითხში სხვებთან უთანხმოება მოუვიდა.

ბერლინი. სულ აირჩიეს რეიჰსტაგის დეპუტატები: 110 სოციალისტი (იყო 53), ცენტრელი 93 (იყო 103), კონსერვატორი 52 (იყო 59), ნაციონალ-ლიბერალი 48 (იყო 51), პროგრესისტი 41 (იყო 49), პოლონელი 18 (იყო 20) იმპერიის პარტიისა 4 (იყო 25), სხვა პარტიათა 31 (37 იყო).

რუსეთი.

პეტერბურგი. სამოსამართლო პალატამ „რუსკოე ბოგატსტვოს“ რედაქტორს კოროლენკოს ორი კვირის საპატიმრო მიუსაჯა ჟურნალში მოთავსებულ წერილისათვის „ჩვენი დროის ხალხი.“

გომელი. პოჩეპის მახლობლად შეიარაღებულნი ბოროტმოქმედნი მგზავრ ვაჭრებს დაეცნენ. სროლის დროს მძიმედ დასჭრეს ორი დარაჯი.

მოსკოვი. „უტრო როსიისა“ რედაქტორის კრილოვისა და „გოლოს მოსკვის“ გამომცემელ გუჩკოვის შორის უშედეგო დუელი მოხდა.

მოსკოვის უნივერსიტეტმა ლომონოსოვის დაბადების 200 წლის თავი იდღესასწაულა;

ვიატკა. გუბერნიის საერობო კრებამ მოიწონა გეგმა 184 სახელოსნოს დაარსებისა: შინა მრეწველობის გასავითარებლად.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ნება მიბოძოთ, ბიბლიოთეკის დამაარსებელთა სახელით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ხარფუხის ქვემოდ მოყვანილ პირთ, რომელთაც ბიბლიოთეკას შემოსწირეს წიგნები, ჟურნალები, თუ ფული:

ა. ი. ხატისოვმა 92 წიგი და ათი მანეთი ფულად, დ. ჯანჯულაზოვმა—20 მან. ა. პუგინოვისამ—30 წიგნი. შ. შათირიშვილმა—10 წიგნი, ს. თითბერიძემ—48 წიგნი, ე. კირიაკოვისამ—39 წიგნი, პ. გრიგოროვმა—11 წიგნი, პ. და ი. ბასტიანოვმა—531 წიგნი, ა. ქარკოვისამ—30 წიგნი, ნ. რიადნოვისამ-შულცმა—58 წიგნი, მ. ბასტიანოვმა—6 წიგნი, ა. სტეფანიდმა—4 წიგნი, ვ. ოძელიშვილმა—30 წიგნი, ზ. ხაჩატუროვმა—გაზ. „ტიფლისკი ლისტოკი“ უფასოდ დაუთმო და „კავკაზსკაია რეჩის“ რედაქციამ—გაზეთი ნახევარ ფასად დაუთმო.

ბიბლიოთეკის გამგე **ი. გ. ბასტიანოვი.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

ზამთრობით (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

ტფილისიდან გადის.

ბათუმისაკენ: 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—II კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7 ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

ბაქოსაკენ: 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარში ღამ. 11 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—II კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 1[illegible] წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 8 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარში დილ. 5 ს. 18 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

ბორჯომისაკენ: 1) სამგზ. მატარებ. № 9/6ბ, I—II კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

ჯულფასა და ერევნისაკენ: 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 11 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

ტფილისში მოდის.

ბათომიდან; 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, II—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

ბაქოდან: 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

ერევან-ჯულფიდან: საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. [illegible] ს. 40 წ.

ბორჯომიდან: სამგზ. № 61/ 0, I—II კლ. დილ. 8 ს.

შენიშვნები: 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები	
1—2	**გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4	**მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
—5	**ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7	**შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9	**ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12	**ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 715).

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 5 და მალაკანის მოედანზე.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.

(ზამთარში).

რუსეთის საზოგადოებისა.

ბათომიდან გადის: ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

სახალხო გემები ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

სახალხო-საქონლის გემები—ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარასკეობით შუაღამეს.

განცხადებანი

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამეში 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბების საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.**

(ტ. 1646.8)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრებსა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(100—1615—13).

მუხრანის კერძო

სამკურნალო

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9 и 48. Цициановская подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ № 37.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. გაზაზოვი. შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-მდე.

გ. მ. გოგობერიძე. შინაგან და ბავშვებისა, 11—12 ს.-დე.

მ. კ. იოსელიანი. დედათა სნეულებანი, დილის 10-ნახევრიდან 11 ს.-დე.

მ. ლ. შტრეიხერი. ყელისა და ყურისა, 11 ნახ. 12 ს.-დე.

ლ. გ. საყვარელიძე. შინაგან და ბავშვ., 12 ნახ. 1 ს.-დე.

იაშვილი. შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. მელკონიანი. ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი. ქირურგიულ., 11—12 ს.-მდე.

გ. ა. ახვერდოვი. შინაგან, 12 ნახ. 1 ნახევარ ს.-დე.

მ. დ. კილოსანიძე. ქირურგ. 12 ნახევრ. 1 ნახ. ს.-დე.

კბეში. კბილისა, 8—10 ს.-დე.

მ. ბ. მიკირტუმოვი. დედათა სნეულებ. და საბებიო, 1 ნახ. ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით. დარიგების ფასი 50 კაპ. სტაციონალური ექიმობისათვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვა მორიგებით.

№ (646. 100—56 (0—1003—204)

კარაკულის ქუდი

2 მანეთად.



უმაღლეს ხარისხის ხელოვნურ კარაკულის ნაცრის-ფერი და შავი ქუდი, მავ წმინდა აბრეშუმ-ატლასის სარჩულით. დამკვეთელთ დაკვეთის დროს უნდა გამოგზავნონ თავის ზომა. ეგზავნებათ ფასდადებით, უბეოდ. გასაგზავნის და გასახვევ მასალისათვის 55 კ. იხდიან. ციმბირში კი 95 კ. ვინც 3 ქუდს დაიკვეთს გასაგზავნ ხარჯს ჩვენვე ვკისრულობთ. დაწუნებულს უკანვე ვიღებთ.

მისამართი: Кивману, Лодзь. № 8. Д. მეტალ. 82345. (4—1009—3)

ქ. თელავში

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენამზე

ჭრა-კერვის

წიგნის

თვით-მასავლებელი, 128 ნახატი.

ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის! აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტსერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ Г. Телавь „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ (100—1140—96)

პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკა „კავკაზი“

ა. ლ. იმნაძისა

(ქ. ბათუმი, ტფილისის ქუჩა, № 76).

მზადდება საუკეთესო გიგიენური პაპიროსის ქაღალდის წიგნაკების

ძლიერ ზომიერ ფასებში

დაკვეთა სრულდება სწრაფად დ რიგიანად.

ადრესი: Батумъ, Тифлисская № 76. 4.1 43.3

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო. ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(ტ. 1084.64)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2-3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აბრაამიანცის საბუღალტრო კურსები

არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწვ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველდღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 იანვრის 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუხალტერიისა და სხვ. სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ-ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები,** სტენოგრაფია და რემინგტონ.

მასწავლებელნი-სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი.

ატესტატები სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება 25 აგვისტოდან, 9 ს.-დან 11 საათამდე, და 5—7 ს.-მდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქუჩა, 22, საკუთარი სახლი, **ტელეფონი № 744.**

(10.1652.7)

საქციონერო საზოგადოება

ს.-პეტერბურგის საქიმიო ლაბორატორია“.

(დაარსებული 1860 წ.).

იზმაილოვის პროსპ., № 27.

პარიზის 1900 წ. ოქროს მედალი.

სატუალეტო ძმარი

ამ ძმარის მრავალ-გვარმა კოსმეტიურმა თვისებებმა ტუალეტის უსაჭიროესი ალაგი დაიჭირა.

მთავარი საწყობი: ტფილისი, საფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობა.

(12—1291—6)

არსდება 16 იანვრიდან

3 კვირიანი კურსები ჭრა-კერვისა, ფასონების გადაღებისა და ხელოვნურ ხელსაქმის (ქარგვა და სხვა)

ქ-ნ მ. ა. გერიშვილისა, რომელმაც მოსკოვში ერმოლოვის კურსები დაასრულა.

მიხეილის ქუჩა № 122, ბინა № 2. მოწაფეთა მიღება დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. (4—1004—3)

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“-ზე

✦ წელიწადი მერვე. ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; 12 **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინალური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე-**

(წ.—1627—16 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

სნეულთა

ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, (ისტერიით), ნევრალგიით, სისხლ-ნაკლებობით, ჭლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოგოლიზმით, ხერხემლის განხმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

რადგანაც **სპერმინ-პელა** დღითი-დღე უფრო ბევრი საღდება, ამის გამო გასასყიდად ავრცელებენ მრავალ იაფ-ფასიან და ჯანმრთელობისათვის მავნებელ წამლებს, ჩვენი **სპერმინ-პელის** მიბაძულობით.

ამისათვის ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია ავადმყოფნი გავაფრთხილოთ ასეთ ყალბ-წამლებისაგან. ყველა მოწონების წერილები ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ დაწერილა ზემოხსენებულ სნეულებათა განკურნებაზე, მხოლოდ **„სპერმინ-პელას“** გავლენით მოხდა. ამისათვის ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას **სპერმინ-პელა**, ვინაიდან ყველა სხვა წამლები უხეირო წაბაძულებაა **„სპერმინ-პელისი“**.

იმის გამოსარკვევად თუ რამდენად მდარეა ის წამლები, **„სპერმინ-პელა“**-ს დამბარებელთ პირველ მოთხოვნილებისამებრ გაეგზავნებათ ცალკე ბროშურა, სადაც აღწერილია ყოველივე.

Органотерапевтическій институтъ. Профессоръ Докторъ ПЕЛЬ и С-вья.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.
Метцль и К° № 1277.

(12.1002.2)

საყურადღებოდ

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა